

140 /
1986 / 2



ՀՈՒՐԵՆՆՈՒ

1
1986



ჩვენ — საქართველოს პიონერები, პარტიაში, ზენი ვართ ერთგულები!

ს ი მ ო ნ შ ა მ შ რ ი ა ნ ი

ოცნებით ცამდე ხელანვდილები,
რწმენით,
იმედით სავსე გულებით,
ჩვენ —
საქართველოს ნორჩი შვილები
პარტიის საქმის
ვართ ერთგულები.

ვართ ერთგულები,
ბრძენო პარტიაში,
უზენაესი შენი მიზნების,
ჩვენს მზედ
ლენინის დროშა ანთია
და მის კაშკაშა შუქში ვიზრდებით.

სწავლით — საქებით,
შრომით — საქებით
გვსურს ვუპასუხოთ
ზრუნვას შენეულს,
ყოველდღიური ჩვენი საქმენი
გაეხმინონ პანგებს მშენებლურს.

ყოველ ცისმარე ვიღვწით,
ვირჯებით,
რომ მაშულს ვუძღვნათ
ჩვენი ნობათი
და დღევანდელი გოგო-ბიჭები
ვიქცეთ ბურჯებად დიდი მყოფადის;

ყველგან სიკეთე ვეთესოთ, ვახაროთ,
ვიყოთ იქ,
სადაც შეველა სჭირდებათ,
უფრო ავსნიოთ,
უფრო ვამაღლოთ
ჩვენი მშობელი მხარის დიდება.

გულით,
გონებით,
გამრჯე ხელებით,
რწმენით,
იმედით დარაზმულები,
ჩვენ — საქართველოს პიონერები,
პარტიაში, შენი ვართ ერთგულები!





კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის შესახებ

ზევე მეტყველებს ყრილობის შეახვედრად გაშლილი მრავალმხრივი და დაძაბული მოსაზრადებელი მუშაობის — პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზატორული, იდეოლოგიური მუშაობის მასშტაბი და შინაარსი, მასში თითოეული მშრომელის, თითოეული კომუნისტის უშუალო, აქტიური და საქმიანი მონაწილეობა.

გასული წლის ოქტომბერში გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოხსენებით გამოშვებულმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმაც ხომ სწორედ ამას გაუსვა ხაზი: „მომავალი სკკპ XXVII ყრილობა, უეჭველია, იქნება საეტაპო ნიშანდებელი ქვეყნის განვითარებაში. მის მნიშვნელობას განსაზღვრავს განსახილველი საკითხების უაღრესი აქტუალობა, ახლანდელი პერიოდის ხასიათი, იმ ამოცანების სიახლე და მასშტაბურობა, რომლებიც საზოგადოების წინაშე ისახება“. ამოცანების სიახლესა და მასშტაბურობაში კი პირველ რიგში იგულისხმება ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, მისი ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლება, წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური განახლება და შრომის ნაყოფიერების უმაღლესი დონის მიღწევა.

ამხანაგმა გორბაჩოვმა აპრილის პლენუმზეც და შემდგომაც, სტახანოვეური მოძრაობის კურთხეანებთან შეხვედრაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ამოცანის წარმატებით გადა-

საქართველო

იმას ნიშნავს, რომ ლენინელთა ახალი თავყრილობაზე შეკრებილ ათასობით დელეგატთან ერთად მეც ვგონაწილეობდი კომუნისტების მშენებელთა

გურამ ბებონია,

თბილისის ელმავალ-მუშენებელი ქარხნის პრაქტიკის სსრკ უმაღლესი საბჭოს დამუშობი

ნიშანდებელი

ბელი საბჭოთა ხალხის სამომავლო გრანდიოზული მიზნებისა და მიჯნების დასახვა-განსაზღვრაში. მღელვარებით ვუსმენდი თითოეულ მომხსენებელს, გამომსუდღეს, ვედილობდი არაფერი გამომპარვოდა მათი დაინტერესებულები, საქმიანი საუბრიდან და, ამასთან, გამუდმებით ვგრანობდი, რა დიდი პასუხისმგებლობა აყისრია თითოეულ საბჭოთა ადამიანს, და პირველ რიგში, თითოეულ კომუნისტს პარტიის, ხალხის წინაშე.

ჩვენ, კომუნისტები, პარტიის XXVII ყრილობისაგან ბევრს მოველოდ. და განა მართო კომუნისტები? ყოველი საბჭოთა ადამიანი, მთელი პროგრესული კაცობრიობა, ყველა, ვისაც მშვილობა სურს. მომავალი ყრილობა უთუოდ განაყოფიერებელი მნიშვნელობისა იქნება. ამაზე მეტეყველებს მისი დღის წესრიგი, ამა-

პარტიის ყოველი მორიგი ყრილობა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. როგორც წესი, კომუნისტთა ფორუმზე გაიმდგება წინა ყრილობიდან განვლილ პერიოდში მიღწეული წარმატებანი, დასახული გეგმა-ამოცანების შესრულება თუ შეუსრულებლობა, პირუთენელად აღინიშნება წინსვლის ხელშემშლელი მიზეზები, ისახება მათი აღმოფხვრის საშუალებები, მტკიცდება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულელები, მუშავდება პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხაზი.

მე პარტიე მქონდა, როგორც საქართველოს კომუნისტთა წარგზავნილს, მონაწილეობა მიმიღო სკკპ XXVI ყრილობის მუშაობაში. ეს კი

საბჭოთა კავშირის და 3. ი. ლენინის საბჭოთა კომუნისტური პარტიის საქართველოს რეგიონული საბჭოს სახელობის სასაბჭოო კვანძი

კომუნისტი 1926 წლის 19 იანვარი 1986

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქართველოს რეგიონული საბჭოს სახელობის სასაბჭოო კვანძი

ს.კ. ს. კ. ს. კ. ს. კ.

პრისათვის საჭირო რეზერვები არის თითოეულ საწარმოში და მშენებლობაზე, თითოეულ კომლექსურობაზე და საბჭოთა მეურნეობაში. ჩვენი ვაილა მიაკვლით ამ რეზერვებს და უნარჩინად გამოიყენებთ ისინი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელი დასახლება განხორციელება, თუ ყველა ჩვენგანი ღრმად გაიზარებს შექმნილ მდგომარეობას, მთლიანად გაისივრება განხორციელება ნაკარნახევი ამოცანების წარმატებით გადაჭრის მნიშვნელობა. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ჩვენი ორი — ელექტრომომონტაჟითა და ამწყობ ზეინჯალთა კომპლექსური, სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე ბრძანების დასწყვეტლება — გაგვიჩაღებინა სოციალისტური შეჯიბრება სკვპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, ვადამდე შეგვეტრებინა მეთერთმეტი ხუთწლედის დავალებები. შრომის ორგანიზაციის სრულყოფის, ეკონომიის რეგების გაძლიერების, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და რეზერვების ამოქმედების მეოხებით ჩვენი ბრძანების კოლექტივებმა ვადამდე — I დეკემბრისათვის შეასრულეს ვაჟული წლის დავალებები და 50 ათასი მანეთის ზეგებებით პროდუქტთა გამოუშვეს. სამეურნეო და დღი გეგმები და ვალდებულებები ვაჟეს. ჩვენს მიერ XII ხუთწლედისათვის მიღებული შემგვიდარი გეგმა ვარაუდობს ყოველწლიურად 16.5 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას, ეს კი გათვალისწინებული ზეგ ათი პროცენტით მეტია. ჩვენ თანახმა ვართ იმის შესახებ, რომ ჩვენი შრომითმა კოლექტივებმა ვადამდე მხარი, რასაც შედეგად შრომის ნაყოფიერების არტუ უმნიშვნელო ზრდა მოჰყავს.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკამ, ყირიოდ, მრეწველობამ უკანასკნელ წლებში შრომის ნაყოფიერების ზრდის მიმართულებით საკულისხმო წარმატებები მოიპოვა და ახლა ჩვენი ვაილა, არამც და არამც არ დაეთმოთ პოზიციები, ყოველდღიურ

შრომითა და ვარჯით განვამტკიცოთ. ვადავადირობთ ისინი. და აჟ, ამ საქმეში თავისი წონადი სიტყვა უნდა თქვას თბილისის საწარმოთა ვაერითიანება „ელმაველმშენებლის“, ომის შემდგომი პირველი ხუთწლედის ამ პირმშოს, შრომითმა კოლექტივებმა.

ჩვენი ვაერთიანება რესპუბლიკის განქანათმშენებლობის ფლაგმანი ვახლავთ და არტუ უმნიშვნელო ადგილი უვაგია სახელმწიფოს ინდუსტრიაში. თავად ვანსაყუთ — ქვეყნის ყოველი მესამე მაგისტრალური ელმავალი თავის გზას თბილისიდან იწყებს.

ქართველ ელმავალმშენებელთა კონკრეტული ამოცანები და პრობლემები, მათი მიღწევები ღრმა თეორიულკავშირშია რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებთან, მისი მუშათა კლასის საღიღისი და სახვალთ ამოცანებთან. ვაერთიანების სათაო საწარმოში, თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში, თუმცა — როგორც მას შემოკლებით უწოდებენ, რამდენიმე წელია გენერალური რეკონსტრუქციის სამუშაოები მიმდინარეობს. ალბათ, არ არის ძნელი წარმოსადგენი, თუ რა სირთულეებს უქმნის ეს ვარეოება კოლექტივს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამის მიუხედავად ქარხანა თავისი პროდუქციის 74 პროცენტს ხარისხის ნიშნით უშვებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ წარმატებები ვაცილებით მეტი გექნება.

ღღია ქართველ ელმავალმშენებელთა წვლილი რესპუბლიკის მშრომელების მიერ ხუთწლედის წარმატებით დამთავრების საქმეში, დ. ე. ი. მომავალი, XII ხუთწლედის დაძაბული გეგმების უთუო ვახორციელების საფუძვლის შექმნაში. და მე მეამყავს, რომ შემოიძლია ვთქვა — ვარევეული წვლილი ამაში ჩვენს ბრძანდასაც მოუძღვის. ასევე სიამაყით ვაცხადებ ჩემი ამხანაგების სახელით, რომ ელმავალმშენებლები პირნათელნი, საქმიანი, თ-

ტიმისტური განწყობილებით ვანსაყუთებთან ქვეყნის კომუნისტური გზის ფორუმს. აჟვე იმ საქმეებზე მოვახსენებთ, ყრილობას რომ მოუშვადეს ქართულმა ელმავალმშენებლებმა — ყრილობის განხილვისათვის გამოშვებული იქნება ლოკალიზაციის ახალი თობის პირველი წარმომადგენელი — ელ-15 მაგისტრალური ელმავალი. ამ ფაქტის მნიშვნელობას რომ ჩასწავდეთ, დავსენ, რომ ეს ელმავალი ოცდამეერთეულ საუკუნეში ატარებს მატარებლებს.

მაშ ასე, — 25 თებერვალს მოსკოვის ყრილობათა სასახლეში თავმოყრის ხუთი ათასი დელეგატი. ყრილობის მუშაობის დღეებში ქვეყნის მუშათა კლასის, კომუნურნი გლეხობის, ინტელაგენციის საყუხეღოს წარმომადგენლები მოისმენენ ანგარიშს პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მიერ წინა ყრილობიდან ვანული წლებში ვაქვეული მუშაობის შესახებ, შევაჟსენენ მისი სიამაო და სავაგრო პოლიტიკის სფეროში მიღწეულ ძეგებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მიიღებენ და დამტკიცებენ ჩვენი ღალი ქვეყნის ვანიუთარების სამომავლო გეგმებს, მიმართულებებს, ამოცანებს, დასახულის შესასრულელად დაჯანჯიანებს ხალხს. და ამ ელმავალმშენებლის შესრულებაში თქვენც უნდა მიიღოთ მონაწილეობა. დღევანდელი მოზარდები ხვალ-ზეგ მხარში ამოვადებთ მშობლებს, უფროს დაძმებს და თქვენს წვლილს შეიტანთ XII ხუთწლედით ვათვალისწინებულ ღალი საქმეების ვახორციელებაში. ბევრ თქვენგანს უთუ ვაგვალაქვს შრომითი ნათლობა ისე, როგორც, მაგალითად, ჩვენი ქარხნის ახლავახრობის საშეფო 114-ე სკოლის მოსწავლეებს, და ეს ვარეოება ღლიად შეგაწყობთ ხელს მომავალში. მაკარამ, ვფიქრობ, არც დანარჩენებს ვაგვიჩრდებთ სათქველი ადგილის მონახვა საერთო შრომით ვფრხულში, ხოლო თუ ვაგვიჩრდავ ჩვენ, ელმავალმშენებლები, მხად ვართ დავგებართო.

1987 წელს შესრულდება საუკუნე-ნახევარი ილია ჭავჭავაძის დაბადების დღიდან. ჩვენი ქვეყანა უკვე კარგა ხანია ემზადება ამ თარიღის აღნიშვნულად აღნიშვნისთვის. ეს უნდა იყოს არაჩვეულებრივად ფართო მასშტაბების, საქვეწოთ და სახალხო ზეიმი — ასე განაწევრიტა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ქართველი ხალხის უგულოთაფის და სანატორიო ოცნებას ეს იყო და ეს არის. ეს უნდა იყოს ზეიმი, რომელიც დაიტევს ქართველი ერის არა მარტო

პროცესში ილიას სიტყვამ და საქემ, ილიას ლექსმა თუ პუბლიცისტურმა გამოსვლებმა უზარმაზარი როლი შეასრულეს.

ილია ჭავჭავაძე ერის დიდი წინამძღოლი იყო; გასული საუკუნის სამოციან წლებში იგი სათავეში ჩაუდგა ყველა ცოცხალ ძალას, ყოველთვის ახალს, აღმოცენებდას; ის ამოვირბანდა თავისი ქვეყნის მესაჭე ხედვა, რათა თავის ხალხს ისტორიული მსვლელობის გზაზე წაიშოშლავს, ყველა წყალქვეშა ლოს ააცილოს. ისტორიამ მას მეტად მძიმე ტვირთი წამოჰკიდა. ის არ იყო მარტო პოეტად, მარტო ბელეტრისტიად დაბადებული; ცხოვრების ყოველი უბანი საჭიროებდა და მოელოდა მზრუნველ პატრონს, გულშემატკივარს და ისიც აიასად უნდა გატრიფიყო, რომ ყველა უბანს გასწვდენოდა. დრო შოთხოვდა ილიასაგან ყოფილიყო პოეტიცა და ფილოსოფოსიც, ისტორიკოსიც და კონსონის-



ნებაზე არ ვზრუნა. ძთავარი ის არის, რომ ყოველი ნაბიჯი მწერლისა, ყოველი მისი წერილი სტრატად გამოიწუნოდა, აქ ყოველი ჩტიქონი ერთი სუნთქვით არის გამოზარი, ერთ დიდ მიზანს ემსახურება. — ეს მიზანია ასწავლოს ხალხს, წინსავალი გზა გაუნათოს. გრძნობთ, რომ ამას წერს ათამიანი, რომელსაც ცხოვრების უმაღლეს მიზანსავალი გზა გაუნათოს. გრძნობთ, რომ ამას წერს ათამიანი, რომელსაც ხალხის უფლებებისათვის ბრძოლა და მისი ტანჯვის შესუბუქება დაუსახავს, ამას წერს მგზნებარე მოყვარული თავისი ქვეყნისა, გულმსურვალე პატრიოტიცა, იმავე დროს, გულწრფელი ინტერნაციონალისტიცა, რომელმაც იცის, რომ უფრო ერთ ბედნიერი ვერ იქნება შემოდ და უმეგობროდ; მართლაც განსაცვიფრებელია ეს უნივერსალიზმი, ეს მრავალმხრივი განსწავლულობა, მრავალსაწყისიანობა, ეს აზრის სიძლიერე და პრაქტიკული გამჭირაობა!

ილია ჭავჭავაძე

მარტაფ და მძობანა, საპრომოლოგი, მძ მარ ზინთაძე...

ილია ჭავჭავაძე

წარსულს, არამედ აწმყოსა და მომავალსაც, ვინაიდან პირველიც მეორეც და მესამეც იყო მუდმივი საფიქრალი, საოცნებო, საზრუნავი და საწუნავი ამ ბუნებრივად აღმამინაბა, რომელმაც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შემდგომ სიტყვებით მიმართა თავის სათაყვანებელ საქართველოს: „მისთვის მიყვარხარ, რომ მძძლეუ ტანჯვას და იმ ტანჯვაში სრულ სიცოცხლეცა“. ოცდღერიო წლის სტუდენტმა ილიამ პეტერბურგში დაწერა ეს ღრმაზრინი სტრიქონები და მეტე მთელმა მისმა სიცოცხლემ ამ ტანჯვა-საყვარულში გაიარა. ამ ტანჯვის ფასად შესძლო მან ცალკე ტომებად დამოლოლი და დაქვემდებებული საქართველოს გაერთიანება. ამ ისტორიულ

ტიცი ფინანსისტიც და ვურნალისტიც... მას უნდა ეწერა ესთეტიკის უღრმეს პრობლემებზე, ლინგვისტიკასა და ფილოლოგიის საკითხებზე, და, იმავე დროს, ქართველ მეუენანხეთა ვასაჭირზე, საქართველოს ისტორიაზე და, იმავე დროს, ომიის სამეურნეო სეოლაზე, ქართულ რომანტიკებზე და, იმავე დროს, საგლახსა, გამსწვებელ-მემანველ სეზოგადობაზე და მოკლევადიან კრედიტზე, და ყველგან მისი სიტყვა ბრძნული იყო, რჩევა — ხასიკეთო და საქმისათვის საჭირო და აუცილებელი.

უღრესად ფართო იყო ნაკითხებისა, რომელნიც მას აღუდებდნენ, აფიქრებდნენ, რომელნიც მის საზრუნავად გადაქცეულიყვნენ. არ იყო არც ერთი ტკივლი მეტრამეტე საუკუნის საქართველოში, რომელიც ამ შესანიშნავ ადამიანს თავისად არ მიეღო, რომელიც მას საკუთარ ტკივლად არ მიეჩნია და მის დაყუ-

რეგდაე ჩემს თავს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფუნწულა და-ძმებს შორის, ვსვდავ; როგორ დაეკახრიან შეილებს დედა, მამა, როგორ შეეხანონ ბუეშეური სისხრულითი დედას, მამას, მუხმის მტრედვითი უგუნური ტრინი ჩემს პატარა დედა, პატარა ძმისა, მომესმის ჭკუდადაყიარია სეყვარულიანი ლაპარაკი დედაჩემისა, მამაჩემისა. დღეს ყოვლილვე ეს მარტო ტკივლი სიზმარია. დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, სადათ ამდღენს სისხრულიანი აუგია ჩემს გულს, მარტო სული სამარე-ლა და ამ საზრუნებში მარბია ყოველივე ის, რომისთიკ ახლა გული მეწვის, გული მედაგება. იქ მარბია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა“.

ეს სტრიქონები, ხდაიც ილია თავის ბავშვობის წლებში ლაპარაკობ, ჩვენ მოყვავს მისივე მშვენიერი

მოთხრობიდან „ნიკოლოზ გოსტაშ-
ბივილი“. იმ სოფელს, ყვარელს,
ილია რომ ასხენებს, ახლა მთელი
ქვეყანა იცნობს. პეტერბურგისაკენ
სამგზავროდ გამზადებული ილია აქ
ეთხოვებოდა თავის ყვარლის
მთებს. მიდიოდა და იმ მთების ხსო-
ვნა თან მიჰქონდა, — „თქვენ ჩემთან
ივლით განუყრელად, ვით ჩემი
გულით“, ამბობდა პოეტი და მართ-
ლაც შორეულ პეტერბურგში ჰაბუკ
ილიას თავისი სამშობლო ერთი წუ-
თითაც არ დაეცემა. პირიქით,
ყოველი დღე იმ ფიქრში იყო, თუ
რა გაეკეთებინა, რომ უკეთ გამო-
სდგომოდა სამშობლოს. ადრინდე-
ლი ასაკიდანვე ბრძენსა და დაკვირ-
ვებულს, პეტერბურგის უნივერსიტე-
ტის იურიდიულ ფაკულტეტზეც
სწორედ კამერალური განყოფილება
აუჩრევია და იქ ჩარიცხულია, რად-
გან ამ განყოფილებაზე, იურიდიულ
მეცნიერებათა გარდა, პოლიტიკურ
ეკონომიასაც ასწავლიდნენ, საფინან-
სო თეორიასაც, სტატისტიკასაც,
სოფლის მეურნეობასაც. როგორც
ესედავთ, დიდებულ ქართველ პო-
ეტს, ქართული ლექსისა და პრო-
ზის უბრწყინვალეს ოსტატს, თავი-
დანვე გაზომილი და გათვალისწინე-
ბული აქვს, რომ მისი მომავალი
მოღვაწეობის ასპარეზი ძალიან ფა-
რთო იქნებოდა; ამიტომ ახლავე უნ-
და ემზადოს, წუთსაც ვერ დაჰკარ-
გავს, და ილიაც ემზადება, როგორც
დიდი ბრძოლის წინ, რომელიც იმ-
დენ ხანს უნდა გაგრძელდეს, რა-
მდენსაც ერთი აიამიანის სიცოცხ-
ლე გასწვდება.

ილია ჰუბუკაძეს და, საერთოდ,
თურგდალეულებს, ერთი მხრით
იტაცებდათ ის ეროვნულ-განმათავ-
ისუფლებელი მოძრაობა, რომელ-
ლიც მწავრგლთა წინააღმდეგ ევ-
როპაში დაიწყო დანაკრულმა ხალ-
ხებმა; „მესმის, მესმის სანატრელ-
ხალთ ბოროტის ხმა მტურგისა“, —
წერდა ილია 1860 წლის ზაფხულში,
როცა ვარიზალობი აიღო მესინა და
მემდეგ იტალიის ნახევარკუნძულზე
გადავიდა, როგორც ბაირონმა სი-
ცოცხლე გასწირა საბურძნეთის თა-
ვისსულელებისათვის, ისე ჰაბუკი
ილიაც ოცნებობდა წასულიყო ვარი-



ილია შაბუკიძე

1874 წ.

ზაღდის რაზმში და მიშველებოდა
ავსტრიელი დამპყრობლების წინა-
აღმდეგ საბრძოლველად დარაზმულ
იტალიელებს. ილია არ წასულა ვა-
რიზაბლთან. მისი ბრძოლის ველი
აქ იყო, საქართველოში, აქ თი-
თონ იყო ეროვნულ-განმათავისუფ-
ლებული მოძრაობის შებაირატურა.
მეორე მხრივ, თავიანთ სოციალურ
პროგრამას თურგდალეულები რუსი
რანზონინელების იდეური ზეგავლე-
ნით უქმნიდნენ. თუ ვარიზაბლის და
მაძინის შავალითი ამხნევებდა მათ
საქართველოს ეროვნული თავისუფ-
ლებისათვის ბრძოლაში, სამაგიერ-
ოდ ჩერნიშევსკისაგან სწავლობდ-
ნენ სოციალური ბრძოლის მრისხა-

ნე ტრაქტიკას. ბუნებრივი იყო, რომ
თურგდალეულებმა ხალხის სოცია-
ლური და ეროვნული ჩაგვრის პი-
რობებში საქართველოს განთავი-
სუფლებისათვის ბრძოლა ორგანი-
ზაციულად და განუყოფლად დაუკავშირე-
ს კლასობრივ ბრძოლას, სოციალურ
თავისუფლების მოპოვებისათვის
ბრძოლას.
დაეწაფნენ რა ამ იდეურ წყარო-
ებს, თურგდალეულებმა ამ გზით
გაუფართოვეს ქართველი ხალხის
გონებრივი პოზიციონტი. ევროპის
და რუსეთის მოწინავე იდეებმა უწ-
რო განაწყოფიერა უკმინიზმის დი-
დასტადიკა, რომელიც მუდამ ცო-
ცხალი იყო ქართულ ლიტერატურა-



მი. ეს ნათლად ჩანს თვითონ ილია ჭავჭავაძის მავალითზე. ის პეტერ-ბურგშივე იწყებს ქართული ლიტერატურის განსწავლვას და აქ მას სტრინდლის დამლევე იტალიელი პატროტემიცი, რუსი ბარზონინგლებივც და აქვეა მთავარი წყარო, ქართული ლიტერატურის ტრადიცია.

ილია აღზრდილი იყო ამ ტრადიციაზე, აკანონივე ესმოდა მას მომსახურე მელოდია ქართულ ლექსისა. მოწაფეთობის პირველ წლებშივე ენაფუბა იგი ერთსაველიის ბრძნულ პოემას და აქვე, პეტერ-ბურგშიც, სდება ერთი საგულისხმო ამავე, რომელმაც, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი გავლენა იქონია მის სულიერ ფორმირებაზე. „უეტერბურგში, — ვადგომეცემს ილიას მემგობარი კონტა აფხაზი, — ეცხვებოდათ მთმეტეულ ნაწილად ვახილიევის კუნძულზე. ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკიში ატარებდა დროს; ჩვენიც, მე და ილია, ზაფხულობით იქ ვიყავით სოფელ მახსოვს, ერთხელ პავლოვსკიშიც ცარსკოე სელში წავედი და იქ ვეწვიეთ პლატონოვ და ილიანს... მან გამოიტანა, რამდენადღაც მახსოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელნაწერი. ეს იყო „ხედი ქართლისა“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინდა ამ ლექსებში ილიაზე. თითქმის მთელ ერთ კვირას ყმაწვილი პხო-დავდა ბარათაშვილზე“.

თუ რა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ილიაზე ბარათაშვილის ლექსების პირველმა ვაცნობამ, ეს ნათლად ჩანს შემდეგი ლექსიდან:

როს წარვიკითხე მისი ლექსები,
ვერა-რა ვთქვი-რა ვანცურებულმა,
ვით ქრისშხალით ატყობს ზემეს
ცას განუბნისის შვიი დღებულმა,
ისე იღარა ჩემ მუწუხარ შებულმა.
ხალხი ობოლო, შენ მებრალბო,
რომ დავიბოდა მის ციურ სუქმა,
და განვამორა თვისი სიხვეტი.
როს წარვიკითხე მისი ლექსები,
აღმოვიცინეს დობობებულმა.

კონტა აფხაზის ეს მოგონებაც და ილიას ზემოთ მოყვანილი ლექსიც ბევრ რამეს ხსნიან ილიას შე-

მოქმედების ცხოვრებაშიც და, საერთოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც. იმ დროის მდგომარეობათაში ილია ჭავჭავაძემ ბარათაშვილის ლექსების ხასით თითქმის ნათლის შუქი იპოვნა, დაინახა იმ დროის საქართველოს ინტელექტუალური და სულიერი მებაინადტრე. ამ პოეტის ხასით ილია ჭავჭავაძემ დაინახა კაცია, — მოიტანა პერსპექტივისა, მოციქული მომავლისა, წარმომთქმელი საპროგრამო სიტყვისა. ამ მხრივ, მის მიერ გაკაც. ფული გზა მართლაც ჯერ უვალ იყო.

სწორედ ეს ყველაზე პირველად იგრძნო ილია ჭავჭავაძემ. მან იფიქრა, რომ ბარათაშვილის ლექსი გზას უხსნიდა ასლისათვის ბრძოლას, ვხას უხსნიდა პროგრესს. მისი სიტყვები — „რომ გათენდებოდა დილა მშინარი და ყუველ მინდნას ის განანათლებს“ — მერმისის წარუხონველ რწმენა იყო, რომელიც მულისმნიშობდა, რომ არ შეიძლება არ გათენდეს. პოეტმა იცოდა, რომ საჭირო იყო ამოქმედება, გამოფხიზლება, — „ილია შინაინ“ თავისთავად არ მოვიდოდა.

მაგრამ ნ. ბარათაშვილი წინ უსწრებოდა თავის დროს და მისთვის სამომედლო ასპარეზი ჯერ არსად იყო. საქართველოში მსოფლოდ შეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყებოდა მძლავრი გროვნულ-განმთავი-სუფლოდელი მოძრაობა. ამ დიდ მოძრაობას სათავეში იდგებოდა ბარათაშვილის მომდევნო თაობა — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეათაობით, თაობა, რომელმაც გადაჭრა ისტორიული ამოცანა, შექმნიდა მოწინავე კლასიკური ქართული რეალიზმის მძლავრი მიმდინარეობა და დამკვიდრა ახალი ქართული ლიტერატურული ენა.

ახეთი იყო ეს წყაროები, რომლებიც ასაზრდოებდნენ ილია ჭავჭავაძის მსოფლომხედველობას.

სოციალური და ეროვნული ჩაგვრის აღკვეთა და დარბოვნე,

შრომის სუფუეას დამკვიდრება — ასეთია ილია ჭავჭავაძის მთელი მისი მოქმედების დედანარბი, ესა და მისი რწმენის უწმინდესი სიმბოლო. ილიამ თავის „პასუხის პასუხში“, რომელშიც მძლავრ თავისი თაობის სახელით დააპარკობდა, მისხსენდდა გემო „ღმერთი მზაკვრობის და თვალდამაქცობის“, „ღმერთი ხარობის და მძარცველობის“. თავის პოზიტურ იდეალს კი იგი შემდეგნაირად აყალიბებდა:

ხოლო ვეჭამს ღმერთი,
უქმო წარმწყვდი,
ტვართანმოეთა და მამრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანქულთა,
ღმერთი ჩაყოლთა,
ღმერთი უძღურთა შემწინარებელი.

აქ მიზღურს ღმერთზე რომი დალარაკი. ილიას პოეზიაში, როგორც მსოფლომხედველობის საფუძველი, თავისთავად ნაგულისხმევია ათეიზმი; უამისოდ ვეჯდისმეტე საუკუნეში შეუქმლებელი იყო აღმამანი პროგრესულ პოეზიაზე მდგარიყო; უამისოდ არავითარ მატერიალიზმზე, არავითარ მატერიალისტურ ტენდენციებზე დალარაკი არ შეიძლება. ხოლო ახეთი ტანქულთა უძღურესად მძლავრი იყო ილიას აზროვნებას და შემოქმედებაში. აქაც იგი განახლებობს მათწვებელი იყო.

ილია ჭავჭავაძის რომელ ნაწარმოებსაც უნდა დავახედოთ, თქვენ მოგხსენოთ ჰუმანიზმის, კაცობოყვარეობის, ხალხთა განთავისუფლებისაკენ მომწოდებელი ხმები, მოგვესმით მძლავრი პროტესტი ძველის, დასავბუნლის, აღამიანის ჩაგვრებზე დაფუძნებული საწყაროს წინააღმდეგ. პოეტის გატაცებით ოცნებობს თავის „ანრიდლოში“ იმ დღე-ღამე, როცა ილიანობა აღამიანის მიერ აღამიანის ექსპლოატაცია:

შრომის სუფუეა მოვა მამინა
ვემშობრებობს მის ძლიერებით
და განმტკუნებს სოფელსა შინა
კაცობოყვარების სახიერებით.
მამინ უქმ სიტყვად არ იქნებან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
უქლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცობოყვარება და სახიერება.
ალო ილო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-ღამე მისი წყობა ირლევვა,

და ამ ზეიანდა საუკუნეში
უნდა შესს იგი შრომის სუფევა:
მარს, მამერალო, შენც განაძლები,
წარბოქელ ნიჭთა კვლავ მოიაზრებ,
სხვის ძირს არ დასწევ, თუთ
ამაღლები,
არც ვის ემონებ, არც ვის იმონებ.

გაიხსენეთ ილიას ლექსი „1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დღეების დღე)“. როდენ უღრმესი სიყვარული იხსენებს პოეტის „ტერიტორიითა და მაშვარალოა მხსნელ დიდ დროშას“. პარიზის კომუნის დროშას, როდენი მწუხარებით იყვება მისი გული იმის გამო, რომ ქვეყნის „მწაგრება ძალად“ „იგი დროშა დასცა დიდა“. ვიქტორ გოლცვი თავის წიგნში „ქართული მწერლები“ აღნიშნავდა, რომ „არა მარტო ქართულ, არამედ იმდროინდელ რუსულ პოეზიაშიც არ მოიჭებნებოდა მთავრე ლექსი, რომელიც ესოდენ ძლიერად და აზრის სიხრადით ადიდებდეს 1871 წლის პარიზის კომუნისადმი თვის მებრძოლებს“. ილია ჭავჭავაძე ვადაჭრობ და მტკიცედ გამოუხარდა ადამიანის განთავისუფლებითა და მისი მებრძოლ პარიზულ პროლეტარებს. „მრდობის“ აქტორი არც შეიძლება იყოს სხვანაირად მოქცეულიყო. ჩაგრული კლასების განთავისუფლება — ეს იყო მისი მუდმივი სადგომი, სანაჭრელი, ეს იყო მთავარი და არსებითი, ეს იყო ის წმინდაოა წმინდა ოცნება, რომლის განხორციელებას შეეძალა ილიამ თავისი ბუნებრივი ენერჯია, თავისი სწორუპოვარი ტალანტის შთამაგონებელი ძალა.

ამ კეთილშობილური მისწრაფებით, ამ მაღალი და უმწინდესი იდეალიზმის არის გამსჭვალული ილიას არა მარტო პოეზია, არამედ პროზა. ილიას პროზა მართლაც რომ ცხოვრების მასწავლებელია, იგი აქვე მტკიცედ მისდევს თავის მონოთეზას — „ღმერთთან მისთვის აღაპარაკობ, რომ წარუძღვლე წინა ერს“. ილიას უფოლი მოთხრობა ბრძნული შეგონება ადამიანური სიკეთისა და კუშიანობისათვის ბრძოლის გზაზე. ილიას მთელი შემოქმედების შესწავლის, მისი შინაგანი ბუნებისა და პოეტური ტემპე-

რამენტის ამოსაწვობად ვაზუზო-მელი მნიშვნელობა ენიჭება მის „მეზავრის წერილებს“, მის ამ მარ. თლაც საპროგრამო ნაწარმოებს. სადაც ილიამ მებრძოლი ადამიანის, მებრძოლი პოეტის სიმბოლოდ თერგ აიღო.

„ენტები შენ, თერგო, — წერდა ილია, — იმითა ხარ კარგი, რომ მუხლგვანარი ხარ. თერგი სასუა ადამიანის გაღვიძებული ცხოვრებისა, ამაღლებული და ღირსსაწინაძი სახეც არის. იმის მღვრეი წყალში ჩანს მთელი ქვეყნის უბედურების ნაცრეტუტა“.

„მეზავრის წერილებში“ ილია ჭავჭავაძე სახავს საქართველოს ეროვნული და სოციალური განთავისუფლების პერსპექტივას და ამ პრობლემათა გადაჭრის გზას ის სწორად რეკომენდებდა. „სიტყვად „რეკომენდია“ არ შეგაძინოს. მიითხოვო! — წერს ილია ხსენებულ ნაწარმოებში, — რეკომენდია იმისთვის არის განკენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს“.

რამ მართლაც ბრძნული სიტყვებითა, რა მართლაც გენიალური განსაზღვრა იმისა, თუ რას წარმოადგენს რეკომენდია. იქნებ ვინმეს ეგონოს, რომ ეს ილიასათვის მხოლოდ ჰაბუაური გატაცება იყო. არა, ეს იყო მთელი მისი ცხოვრების ყველაზე მაღალი მიზანი. შემდგომში, როცა საცენსული მუხრუჭებმა უღრო მებრძელ მებრძულს ქართული პირს, ილიას ადარ შეუძლია ასე პირდაპირ ასხენოს ეს სანუკვარი სიტყვა — რეკომენდია, ამიტომ მუდამ მის ქართულ შესაყვეისებ დადებებს, და და ტ ე ნ ა ზ ე, გა ჯ რ ი ა ლ ე ბ ა ზ ე, ქვეყნის შეცვლა ზ ე, პორცილთა მხხრევაზე ლაპარაკობს.

და ი, „მეზავრის წერილების“ დაწერიდან ზუსტად ოცი წლის შემდეგ ილია კვლავ ერთგული რჩება თავისი პირვანდელი გატაცებისა. იგი აღნიშნავს, რომ რეკომენდია (ანუ როგორც ახლა უწოდებს, ც ვ ლ ი ე ბ ა) მარტო ჩაგრულიათვის, უბედურათვის არის მომტანი სიხარებისა. ილია წერს: „იქნებ რომ ჩვენს თავს ბედნიერად

გვარძობდით, ც ვ ლ ი ე ბ ა მე-
განუხებდა, დაგვარობდა, ვა-
რაცა გვაქვს, ისიც დაგვარობო, ვი-
ტიყოდით, მაგრამ... ოპ, რა კარგი
რამ არის შექსპირი. გულიამის-
ლავს რომ იტყვიან, სწორედ ის
არის. იმისი ერთი ლექსი მოგაფინ-
და და, თუმცა ამ სავანს, რაზედაც
ვლამარაკობ, არა უხდება, მაგრამ
თითონ ლექსი ისეთი კარგია, რომ
ვერ მომიბთმენია აქ არ ამოვეწრო:

ც ვ ლ ი ე ბ ა არის სამწუხარო
ბედნიერობისა,
ბედურტული კი მას სიხარული
მიეგება.
მე შენ, მე სვეო ცვალებათ,
მე სალამ მტყუარ

ასე მივსალებმა ილია რეკომენ-
ციას. დიდი ქართველი მწერალი
იძულებული იყო ასე გედაკრული
სიტყვებით ეწერა, მაგრამ მიიხვე-
ლი მაინც ყველაფერს ხედებოდა,
მან იცოდა, საით უმიხვებდა კაბ-
ლი მწერალი, იცოდა და თვითონაც
ცდილობდა შესწეოდა ქვეყნის გა-
ნახლებას.

მებრძოლი კუშიანტური სულის
კვეთებით არის გამსჭვალული ილი-
ას „ილახის ნაამბობი“. აქ მწერალი
გვიჩვენებს, ერთი მხრით, კეთილ-
და, მეორე მხრით, ბოროტი ძალე-
ბის მძაფრ შეტაკება და მწერალ-
თავისი საყვარელი გმირების — მო-
ხუცი ჰეპიას, ახალგაზრდა გაბრი-
ელის პირით ქადაგებს სიყვარულ-
მშობილად ადამიანისადმი, ავი-
წერს ბატონყმური წყობილების შე-
ზარაც სინამდვილეს.

განუზომელია ის გულწრფელ-
სიყვარული ადამიანისადმი, რომ-
ლითაც აღსაუბრა ილიას მოთხრობ-
ის „სახრობოვლაზე“. იმავე დროს, იგი
გამსჭვალულია უღრმესი სიძულე-
ლით ფეოდალურ-ბურჟუაზიულ
წყობილებებისადმი, რომელსაც დაუ-
პვის გზაზე მოჰყავდა მთელი თა-
რები; ილიას ეცოდება საწაული ზე-
ქმე — ბევანი და მისი უყვარის
ძმა. რომლებიც დაწინდობდა გრი-
ყა და უკლმართ გზაზე დაუწყ-
უსამართლობაზე და ადამიანის ჩა-
ვრაზე დაფუძნებულმა წყობილებამ
ილია ჭავჭავაძის ერთგული მოთხ-

სამთავრობო მუშაკებისათვის

სოფალი

სოფლად გახლდით, ვინახულეთ
ბაბუა და ბები-
ნეტვე თქვენც იქ წავიყვანათ,
იგი, რა ამბებია?
დღილიდანვე ირგებთან,
ბავშვია თუ დიდია-
ზოგნი ბაღში მუშაობენ,
ზოგნი ზვარში მიდიან.
ზოგი მწყემსავს, ზოგი თონისს,
ზოგი თიბავს სათიბებს.
ბებოს ათი ვესტუმრეთ და -
გულშაობდით ათივე,
ზოგი დიასახლისობდა,
ამზადებდა სადილებს.
პაპის ჩვენ ვესმარებოდით,
პრობა გავუადგილეთ.
იცი, როგორ გაეზარეთ?
ღმილიად იღვრებოდა.
მზის ჩასვლამდე მუშაობდა,
მაგრამ არ იღვლებოდა...
კაკლის ჩრდილში ვსაბილობდით,
ცივიცივლა წყაროსთან.
„არა შშია“, - მე რომ ვიცი,
იქ ეროხელ არ წამომცდა.
ყანაში რომ ისაბილებს,
თურმე ვეყო იმის აქვს,
ალბათ მიტომ მიადწესა
ჩვენმა პაპამ იმ ასაკს.
ოთხმოცი წლის არის, მაგრამ
გეგონებთ სამოცის.
სულთა პაერს სუნთქავს კაცი,
მზირალი საამო ცის.
ასე გვითხრა: - მუდამ ვმრომობ,
ჩემთვის დღე არ უქმდება,
ყანა-ზვარში ვიმყოფები,
მზე რომ ამოშუქდება.
სულ შრომაში გაგატარე
ჩემი წუთისოფელი.
შრომა იყო ჩემთვის მუდამ
სიხარულის მომფენი.
ამაყად თქვა: ამ ხნის კაცი,
ჯერ ავად არ ვყოფილვარ...
თან უღვამზე გადიასვა
თითები კმაყოფილმა-
ამას ისე გვიყვებოდა,
ისეთი გატაცებით,
მე მეგონა, თითქოს მამინ
ჩვენც ვიყავით კაცები...

სულილეთ, დავისვენეთ,
ვისუმრეთ და ვიცინეთ,
დიდ ყანაში დიდი სერელი
სუბე გავაციცხლეთ...

სიცოცხლით ბალადიგულვა

მარტივ გაფრინდა, აპრილიც,
დაფვა მისი, სავარდე-
სიცოცხლით გალაღებულმა
მამულში გავინავარდე-
ვარდე-ყვავილებს სურნელით
სულა და გულა დავიტკებ-
არც ბუნებაში სილღე,
არც მზის სხივები დავიკელ-
სული ფუნთი მემოიარე
ქართლოსის ამერ-იშერი.
ხან დღემოდი ღმილით,
ხან დღილით და სიმღერით...
მარტივ გაფრინდა, აპრილიც,
დაფვა მისი, სავარდე-
სიცოცხლით გალაღებულმა
მამულში გავინავარდე.

მთვარისი დავა

ვარსკვლავებით მოჭვილი
ცას შეეცმერთი სიამოთ,
გულს და სახეს გვიგერილებს,
საამური ნიაგი.
მთვარე გვიმზერს ქათქათა,
ულამაზეს სახითა.
ეს საღამოც უძლიოდ
გამოსულა სასლიდან.
სიწყნარება ისეთი,
ჩამოიშემცე არ ისმის-
მკერდში გული იგსება,
სიცოცხლით და ხალისით.



რობა „ოთარანთ ქვერივი“ ქარ-
თული ყოფის, კეთილმოზილური
მორალის, ქართველი კაცისა და
ქალის სინდის-ნამუსის, მთელი მათი
ცხოვრების, სულიერი სამყაროს
ცოცხალი და მართალი სურათია.

ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქ-
მედება იყო ბრძოლა მოძაველის სა-
ქართველოსათვის, რომელიც პოეტის
წარმოვსახებოდა როგორც გამოფხი-
შლებული, აყვავებული ქვეყანა. თა-
ვის პოემაში „ქართველის დედა“, რო-
მელსაც პოეტმა ქვესათარად წააწე-
რა „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“,
მან დახატა ოცნებით წარმოსახული
სურათები თავისუფალი საქართვე-
ლოსი. მოხუცი, ავადმყოფი დედა ამ
პოემაში ამბობს:

თუმცა სიციცხლე ნეულთათვის
წაღება არი,
მაგრამ მე, ღმერთო, გმადლობ, ამ
დღეს რომ მომამწარია,
და აქამომდე არ მოკვებე ჩემი
ცხოვრება.
ჩემი მამული, საქართველო დღეს
მიცოცხლებს,
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა,
ხალხი მოქმედებს,
კასპის ზღვიდან შეე ზღვამდისინ ერთ
ფურქსა ფიქრობს.
და თუ ფიქრია მთელ კავკასის
თავისუფლება,
დღია ხალხი, როს ეს გრძობა წინ
წარუტყვება.

საგულისხმოა, რომ აქ პოეტი ხა-
ლხთა ერთობლივ ბრძოლაზე -
მთელი კავკასიის თავისუფლებაზე
ლაპარაკობს. ილიას პატრიოტიზმი
მჭიდროდ იყო შერწყმული ხალხის:
ძმობის იდეასთან, ის აქვე მოწინა-
ვე პოზიციებზე იდგა და თავისი სამ-
შობლოს ხსნას მოძმე ხალხთა გან-
თავისუფლების საქმეს უკავშირებდა
ჩვენმა დრომ, საბჭოთა ეპოქამ
ხორცი შეასხა იმ ნატურას, იმ ოც-
ნებსა, რომლითაც აღბეჭდილია
ილიას მთელი მგზნებარე შემოქმე-
დება. თავისუფალი ქართველი ხალ-
ხი დღეს სიამაყისა და სიფიქრულის
გრძნობით იხსენებს თავის სახელო-
ვან მწერალს, რომელსაც მუდამ
სჯეროდა თავისი ხალხისა და მისი
დაიდი მომავლისა.



კოლაში

მომთ
ასანიშვილი

მხატვარი
ელ. ასანიშვიდი

მ თ ხ რ თ ა

მეწამილას მორჩნენ, აპარატი კარგად გარეცხეს. ვირი ტაჭაკში შეაბეს. წყლის ცარიელი ჭურჭელი დაუდეს, ყველაფერი დააბარვეს და:

- ბეჟან, ხვალ იორზე არ წავიდეთ?
- წავიდლოდი, მაგრამ მაკას უნდა გავყვე ქალაქში.
- მაკა როლანდის მიჰყავს „წიგულის“.
- ხუმრობ?
- რა მეთუშრება...

ბეჟანას სახე წამოენთო, ერთხანს თვალთ დაუბნელდა. ტაჭაკის ჭალს ჩაჰკიდა ხელი, რომ არ წაბარბაცებულყო.

- წავიდეთ იორზე? - არ ისვენებდა ლექსო.
- ლექსო, თავი დამანებე, - ბეჟანა თავს მოერიდა. პირი იბრუნა.
- მტოვებ? - ხმა გაუწეროდა ლექსოს.
- გზას თუ ვერ გაიგნებ, ვირი მივიყვანს შინ! ბეჟანა უკანმოუხუცედავად დაადგა სოფლისკენ მიმავალ შარას.

წამების ღამე დაულამდა ბიჭს. ჯერ იყო და ვერაფრით ვერ დაიძინა.

მერე იყო და, გვიან ჩამინებულზე სიხმარამა გასტანჯა:

დიდი ცისფერი მინდორი ესიხმრა. მინდორზე აქა-იქ დიდრონი ოქროსფერი ვარსკვლავები ეყარა. ვარსკვლავების შორის ერთადერთი გზა მიიკლანჯებოდა. გზაზე წარინჯისფერი „წიგული“ წყნარად მიგორავდა. ბეჟანა ვირის ტაჭაკზე იჯდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ვირს სახრეს ურტყამდა. ვირი გაფიტებულყოფა, ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ბეჟანას ბოდმისაგან ცრემ-

ლები მოერია. ტაჭაკიდან ძირს ჩამოვიდა. ვირთან მივიდა: „დაუწიოთ, ჭემო დიდყურაო!“ - შევევდრნა. შეფერებამ გასჭრა. ვირი დაიძრა. მაგრამ ფეხს ვერ აუწვარა. ნეტავი რა უჭირსო? - უკვირდა ბეჟანას. ტაჭაკს გაღახედა, ჭალების წვერებამდე უწვიდა გამჭვირვალე ვარსკვლავის ზედაპირი. აბა, ეგ ამ ტვირთის სირბილით წამლებია? - გაფიქრა, წარინჯისფერ „წიგულს“ უწვიდინა მხრეა. წინა მარჯვენა კარიდან წითელ მანდილს გაჰქონდა ფრიალი. იქვე ჩამიშლხა ბეჟანამ, ვარსკვლავის ქიმზე ჩამოლო თავი და მწარედ ატირდა...

აღიონის შუქი ოდნავ შეპარვოდა ღამეს, ბეჟანას რომ გაეღვიძა. უმაღ წამოხტა. ტანთ ჩაიცვა, ვარდების ბაღში ჩავიდა. ლიონის ღობისკენ განაპირდა, ჩაყუნტდა, ვითომ საქმიანობდა, თან თვალი შარავისკენ ეჭირა.

„აგტოუსს აღარა კადრულობს...“ „წიგული“ უფრო შარავდა. არც ბილეთი, არც ლოდინი. ჩაიფურნ და ჩამოიფურნ დროით! - ესაუბრებოდა ბეჟანა საყუთარ თავს. „სრდილობის გულისთვის მაინც ეთქვა გუმინ...“ შენი „დაღვებული“ ხასიათი რომ იყის, მოგერიდა! ვენახიდან უცებ იმიტომ გამობრუნდა, იცოდა, ქალაქში წასვლაზე სიტყვას ჩამოგუდებდი. ვაცილებას ვაპირებდი, მხარში ამოვიგობას... საქალაქოდ სხვა უწოვია, მე სავენახედ უფრო გამოვადგები! ეპყეე... მგონი, დაუკრძავაში გადხვდები!“ - სჭრიდა და ოკრობოკროდა ჰკერავდა ბეჟანა დაბოლილ გულზე. „გოგოებს რაიმე მშვენიერი ან გულის ანაზღაურება და შენ კი არა, მთელ ჩვენ სოფელს გაყვიდიან თავისი ვენახებით, წყალ-ჭალებით, ბაზრა-ბოსტნებით, ველ-მინდვრებით, ძველი საყდრითა და სასაფლაოთი. მაკამ რო ეს ჩაიდინა, მამ. მსაყვლა რას იზამს, თებრია, აყუენა... არა, მაინც რა ჩაიდინა? იქნებ, ეჭვებია?!“ ლექსომ გარკვევითა თქვა - როლანდის მიჰყავსო თავისი „წიგული“. ვიღაც უცხო ბიჭს პირველსავე დაძახებულზე უყვდება აგტოში და ქალაქში მიჰყვება. რატომ უცხოს, როლანდის დეიდა მაკას მეზობელია. როლანდი შარშან ზაფხულსაც აქ ისვენებდა...“

- ბეჟანას ფიქრისაგან თავი დაუშქმიდა.
- მანდ რას უზხიან, შვილო?! - აივანზე დედა გადმომდგარიყო.
- ისე, - თავისთვის ჩაილაპარაკა ბეჟანამ.
- რას წამომდგარხარ ასე ადრიაინად?
- ეერა ხედავ, საქმე მაქვს, ვარდებს ძირს ვუმწვილებ, ბალახებს ვარიდებ.
- რალც სხვა ვარდებზე გაქვს ფიქრი ატეხილი, ვინ შენა და ვინ უმიზნოდ ეთუნია ადგომა.
- ადრე გამეღვიძა და...
- რა გინდა, შვილო, რატო არ მოისვენებ? რამე ახალი ფაფურაკი ხო არ გინდა აიტეხი?! - თავი დამანებე, დედი!
- თავი დაანებეთ... მამაშენიც რო აღარ გამოჩნდა? შევევწეწეოდი, თან წავიყვანდა. ტყეში ხეებს ხო არ აუტეხავდი დავიდარაბას! ერთხანს გული საგულად მშენებოდა.

- დედი, საქმე არაფერი გაქვს?
- შენზე დიდი საქმე რაღა...
- გოჭებს მიხედვ, ქათმებს, პატებს...
- მაინც ვის ელოდები შარაზე? - გამომწვევად შეეკიბა დედა.

- თავი დამანებე, გესმის! - ბევრანამ ისეთი ჭმით იყვირა, დედა მაშინვე პირუტყვს გატრიალდა.

ბეჟანა ისევ ჩაყუნტდა. აგურისფერი ვარდის ოდნავ გაშლილ კოკორში ჩაყო ცხვირი, ცრემლი შოერია, გულანჯივლებულს ყვეილის ნახს სურნელი სატკივარს უდრდებოდა. კარგა ხანს იჯდა ქვედაქვეული. ბოლოს თავს მოერია, ცრემლი შეიმშრალა, წამოდგა.

მზე კაცკასიონის მითიდან ემზადებოდა ამოსასვლელად, წინ ვარდისფრად მოლებავდა ცას. ზაფხულის ცხელი დღე თენდებოდა.

მსუბუქი მანქანის ხმა შემოსება ბიჭს. ისეუბა, რამდენიმე ნახტომით თუთის ხესთან გაჩნდა. ტანს აეკრო, ლოდინად იქცა. ნარინჯისფერი „ჭიკული“ მალე გამოჩნდა. მაკა როლანდის გვერდით იჯდა, სავარეო, ცისფერყვავილებიანი ჩითის კაბაში გამოწყობილი. მანქანამ ჩაიარა და თითქოს მთელი სოფელი თან გაიყოლა. ბეჟანამ სიცარიელე იგრძნო. უცხო გახდა ირგვლივ ყოველი. თუთის ტანს რომ არ ყოფილიყო ჩახტებულყო, თავს ვერ შეიმავრებდა, მიწაზე მოწვავდებოდა ბიჭი...

ბეჟანამ თვალები დახუჭა, ცხადლივ დაინახა ნარინჯისფერი „ჭიკული“, ცისფერყვავილებიანი კაბაში გამოწყობილი სიფრთხანა მაკა - ქვეყნად ყველაზე ძვირფასი და მშვენიერი გოგო. დიდხანს ეკვროდა თუთის

ტანს ბეჟანა. ბურანში მყოფს არაფერი ეყურებოდა, თავს ვერ მორეოდა. უკვირდა თავისი უძლურობა და რაღაც სიმწარენარტე სიამეს განიცდიდა.

- წამოდი, შვილო, ვისაუბროთ, - თითქმის ჩურჩულით უთხრა დედამ. ძალზე ფრთხილად მოხვია მხარზე ხელი. ბეჟანა გამოერკვა, დედას გაოცებულმა შეხვდა და შინისაკენ მორჩილად გაკეცა.

ნასაუბრევე დედა სამუშაოდ მეურნეობის კანტორაში წავიდა. მარტოდ დარჩენილი ბეჟანა ეზოში ადგილს ვერ პოულობდა. წიგნის კარადიდან ყაზბეგის მოთხრობები გადმოიღო, მაგრამ გული ვერ დაუღო.

მთელი დღე ისე მიილია, პირში ლუკმა არ ჩასვლია. საღამოს ჯერ დედა დაბრუნდა სამუშაოდან, მერე ნამცე მოვიდა. ნამზურევეს ტყის ფერი გამხდარ სახეზე ფერადი შეუკივთ ედგა. ბეჟანას მამა მალალი, ხმელი, ჯანმავარი კაცი იყო. ტყიდან დაბრუნებული დაღლილობას არ იჩენებდა, ხალისით შემოაღო ჭიშკარი, ცხენს შემოძვდა.

ბეჟანას სატკივარს ალბათ სხვა ვერავინ და ვერაფერი უშველიდა! მამას შეეგება, მკერდში ჩაეკრა.

- როგორა ხარ, შვილო?
- ბეჟანა გაილაურსა. შეეშინდა, მამის სითბოზე გული არ ასრუებოდა.
- ცუდი ხო არაფერია შენს თავს?
- არა. მამი, რას ამბობ! - უპასუხა და შესცინა.

დედა შორიანლოს იდგა, სიხარულით იცხებოდა. ენას როგორ მოატრიალებდა, როგორ წამოსცდებოდა ბეჟანას ხიფათის ამბავი!



- სკოლისას რას მეტყვი? - მამა-შვილი მხარზე ხელგადახვეული გაემართნენ სახლისაკენ.
- ორი ოთხიანი გამოგურიც მხოლოდ.
- პირწმინდა ხუთები გაგიძნელდა?
- მასწავლებლებისთვის კალთები არ დამიგლეჯია, თორემ არც უმაჯობა იქნებოდა.
- ძალად ნუააფერს ეცდები, შვილო.

- ძალიან დაიღალე, მამი?

- არც ისე. რამდენიმე დღეს ღვიძლებს, საქმეებს მოვაგვარებ და მერე ისევ გავსწვებ ჩვენი მშვენიერი ტყისაკენ. თუ ინდომებ, შენც წავიყვან.

ბეჟანას ფერი ეცვალა. არადა, სხვა დროს ამაზე სასიხარულოს ვერაფერს მოისმენდა მისი ყური.

- წყალი გავაგებელი, გიორგი? - ჰკითხა მეუღლემ და ბეჟანას უხერხულობასაც ეშველა.

- ჰო, სანამ ტყის ჰუჭებს ჩამოვირიდებ, ბიჭი ჩემს იმასთან გავაგებავთ. ამოვიტყვი. ფროსთაც მესძახოს. ამ საღამოს ერთი კარგი პურბობა უნდა.

დღეა დაღობილია. ბეჟანამ ერთ დედალას და ორ ვარის წააგებინა წალდით თავები. შერე მოპატივედ ჯერ ბიძასთან დაეთმო სოფლის ბოლოს, შემდეგ მეზობლებს დაესმარა. უკან მობრუნებულზე მამას მოეხმარა პატარა ყოცოს თავის მოხდამი. ქვევრში რქაწითელი ჩაბურჭულებს ისროდა. გიორგი ქარვისფერ ღვინოს ხელაბეჭდში მოფერებთ ახსამდა.

ვახშაზე გიორგის ძმა - აბრია თავისი მეუღლით მოვიდა. სუფრაზე კარის მეზობელიც ჰყვავდათ ცოლითა და ჯარიდან ახლად დაბრუნებული ვაჟით. გვიანობამდე იღებდნენ.

სტუმრები წავიდნენ.

ცხელი დღის შემდეგ სოფელი სიბნელეში ჩაყურებულ იყო. ვარსკვლავებით დაჭორფლილ ცაზე ვერცხლით მოჭედით მოვარე ამოცურდა. მყუდრო შუქი დააფინა ნიღამოს.

ბეჟანას მამა ჯიჯიმგადაფარებულ ტახტზე იჯდა. ბრელი მუთაბა იდაყვებქვეშ ამოეჩინა. ნატოს სუფრა აუღლებინა. გარეცხილი პურჭული დიდი ტაშით მავრიაზე ჩამოედება, მშვიდად ამშრალდება. ბეჟანა მამას ხელმარჯვნივ მისჯდებოდა. სახეში შესცივინებდა.

- შვილო, წელან პასუხი შემოგივინე, როგორც გატყობ, ტყეში წამოსვლა არა გწადიან. - თქვა მამამ დინჯად.

ბეჟანას ცვლავ ეცვალა ფერი. უსიამოდ მოხვდა გულზე მამის ნათქვამი. გაჩუმება აღარ შეიძლებოდა.

- შინ ვიქნები, მამი, დედას მარტო ხო არ დავტოვებთ.

- გესმის, ნატო, ბიჭი მოხვრობის ხანაში შედის და ჰქუც უმწიფდება!

ნატომ ქმარს მშერა აარიადა.

- ყველაფრის ყადრი და სიყვარული თავიდანვე უნდა, შვილო, თორემ მერე ყოველი მეცადინეობა გვიანია! ვენახს ხო არაფერი უჭირს?

- არა, მამი, ყველაფერი როგორცაა. შენ რომ შარები დაფერა, მე გამოვთხენე. შეუწამელით აბრია ძიამ შეწამლა.

მამას ლიმილი მოერიდა:

- კარგია. ოღონდ თავი არ გადაიღალაო.

- იქ რა იყო გადასალღელი!

- მამ, მოვისვენეთო, ადრინადა ჩავხედლოთ ვენახს.

ბეჟანას სიხარულით აღარ იყო. მამას არც კითხვებით შეუბეზრებია, არც ტყეში წყევანა დაუძალებია. გუ-

ლი ხომ გაუსვიდებოდა იმ სიმორეზე მაკას უნახაობი, იმაზე გულმოსულს, გულჩასუსტულს... ის დამეცხვებოდა ფიქრებში გაატარა. რა აღარ ინატრა, რა აღარ გათავისჯა. ოდნავ დამშვიდდა. ბოლოს ძიღმა წაართვა თავი.

გიორგი ოჯახში რამდენიმე დღეს დარჩა. საშისაო თუ საგარეო საქმეები რომ მოითავა, პირი ისევ ტყისკენ იბრუნა. სანამ წავიდოდა, არც მამა იმორება ბეჟანას გვერდიდან და თითქოს არც შვილს ახსოვდა ვინმე. წავიდა მამა და გაახლდა სატყევირო, გაღვივდა ჩაბურჭულ სევდა უფრო მწაფად, მოძიადველად. მოთხებდნენ იდე იყო, ბეჟანას არც მაკასათვის მოეკრა თვალი, არც ლექსო შეხედებია სადმე. ის კი არა, ნარინისფერი ჯიჯიმგადაფარებულს დაუღალანდა. გული ეუდს უგრძობდა. ერთი ხარისა ჰქონდა, ლექსო მაინც მოეგდო ხელთ სალაპარაკოდ, მაკას ამბავს შეიტყობდა.

იმ საღამოს მაკას ბუბია ამოეუხსევნდა. პატარა, გალეული, შვ ტანისამოსში ჩაგარგული, თვითონაც შავი და ფეხებიც შავი. ეზოში შემოვიდა და დაიძახა:

- ნატო, შინ ხარ?!

ბეჟანას დედა მამინვე მიეგება, სახლში შეიპატივა.

- არა, შვილო, აქვე გეტყვი ჩვენს სატიკვარს.

ბეჟანა მარნის ღიად დაგებულ კარს აუტუნა, სმენად იქცა.

- მოხდა რამე, თამრო ძალო? - დაინტერესდა ბეჟანას დედა.

- რა უნდა მომხდარიყო. მაკა ამ ბოლო დროს ამრევილია, სიტყვას ვერ გასცემ. რაც ქალაქიდან ჩამოვიდა, რაღაცა აწუხებს, ხმას არ იღებს, ზის და თავისთვის მიდღებოდა. ჩემს რამდენ ორიოდ დღეში საგაფრთხოდან გამოსწერენ, ჩამოყვანა ხო უნდა. მე იქ სიარულით თავი არა მაქვს. ლექსო ჯერ პატარაა. მაკას იქ წასვლას ვეღარ უხსენებ. იქნებ, ბეჟანა რო გავაყოლოთ, აღარ იუაროს.

- გავაყოლოთ, თამრო ძალო, მაგაზე უარს როგორ გეტყვით.

- მამ, დროით გადმოვიდეს, ველოდებით.

- მალევე გამოეუშვებ.

მაკას ბუბია თვალს მიეფარა თუ არა, ბეჟანა ეზოში გამოჩნდა.

- ვინ იყო, დედი, რა უნდოდა? - სხვათაშორის იქ ითხა.

- მაკას ბუბიას ვეღარა სცნობ?!

- რაო, რა მინდაო?

- შენი ნახვის ნატრულია დიდი თუ პატარა.

- მე მამასთან გადასვლელი არა ვარ! - ხმას იხეთი მკვავებ ტონი დაატანა, ეჭვი რომ არ შეპარვოდა მუდას ნათქვამის საბოლოოობაში.

- რა კელამ გიკინა? - გაიოდა დედამ.

- ყველამ თავის თავს მიხედოს!

- შვილო, მთელი შენი გადარეული ბავშვობა სინართლესა და სუსტების გამოსარჩლებს შევლით, მეზობელი შევლასა ცხოვრებს და არ გამაგონოთ?

- გული არ მიმიწვეს!

— შე რას მიმალავ, ხომ ვიცი, ერთი სული გაქვს, გადახვიდე და...

ბეუანამ დედის დაინებულ შურას ვეღარ გაუძლო.

— ჰო, კარგი, კარგი! — იყვირა და შარაზე გაენთო.

— შე გადარეულო, შენა! — თბილი ღმინილი დაადევნა შვილს დედამ.


ბეუანამ ისე ირბინა, მაკას ბეზიას კინალამ მიასწრო ნისვლა.

პატარა ხნით სული მოითქვა, მშვიდად შეალო ჭიშკარი. ეზოში მხოლოდ ლექსო დაუხვდა.

— სალამო მშვიდობისა, — თქვა ბეუანამ.

— ვახ, ბეუან?! როგორ ხარ? — გაიხარა ლექსომ.

საკუთარი თავი გააფრთხილა. საფეხურები მშვიდად აათვა, აიენი გაიარა, დარბაზის კარს მისწვდა. ოთახში სალამოს ფერმკრთალი შუქი იდგა. მაკა ფანჯარასთან სკამზე იჯდა, წიგნს კითხულობდა. ბეუანს კიდევ უფრო გაცრეცილი და გამხდარი ეჩვენა. გოგონამ ისეთი თვალებით ამოხედა, ბეუანამ ერთიანად ინანა ამდენი ხნის უნახაობაც, უყურადღებობაც და ათასი ეჭვიც.



— მაკატერინე, როგორ ხარ? — რაც შეეძლო, სითბო დაატანა ხმას.

— რა მიშავს, — მაკას ოდნავ მოუშუქიანდა სახე.

— რა მოხდა? — სიმკაცრეგარევეთ იკითხა ბეუანამ.

— რა ვიცი, ბეუან...

— უჩემოდ არ უნდა წასულიყავი ქალაქში!

— აკი არც ვაპირებდი. უფროსებმა შემავლუიანეს...

— ხმა გაუწყვრილდა.

— საკუთარ გულისთქმას არახოდეს ელაღატება!

— რას ვიფიქრებდი... ასეთი ზრდილი, შეგნეულლი, მომავალი უქიმი...

— მაკატერინე, შე რომ კაცმა მცემდა, უსწავლელი იქნებოდა?

— ეს, რა ვიცი... დარღვით აღარა ვარ, შენც დაიკარგე. თუმცა, მე ვარ დამნაშავე.

— მაინც არ მითხარი, რა გადაგბდა! — წყენა გაერია ბეუანას ხმას.

— რა მიშავს, თავად როგორ გიკითხო?

— შენგან დავიწყებული როგორ ვიქნები? მაკაა ჯაგრიანად.

— მიზიწი?

— არ გვიმხელს, იქნებ შენ არ დავიმალოს.

— დედა როდის გამოგვაუთ სახავედმე? როდის?

— ორ დღეში გამოსწერენ და...

— გასაგებია, მაკა საით არის?

— ზეერთაა.

ბეუანა კიბისკენ დაიძრა. გული გარეთ გამოვარდნას ღამობდა. „უსეშად არაფერი წამოგდევს, გესმის?“ —

- მოსაყოლად არ ღირს.

- მიაბე!

- დედასთან დიდხანს არ დავრჩენილვარ. უკან სანამ გამოვეშვებოდი, კაფეში შემეპატია. მშობრად, უარი არ მითქვამს. საუზმესთან ერთად შამპანური მოატანინა, მეც ბევრი მიხევეყა, მაგრამ არც მიფიქრია. თვითონ მიძალა სასმელს. ვთხოვე, ნუ დღაღვე-მეტიქი. არ გამოვიდა. უკანგზოაზე მანქანის ერთხანს კარგად ატარებდა. მერე ნერვიულობა შევატყვე. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ბოლოს კითხიანურებს მოჰყვა: პროფილით, თვალდებით... ყურებში გუგუნება მიმატა, თვალღებზე ხელენი ავიფარე, ის იყო, უნდა მივეყრია, გააჩერე-მეთქი. რომ ხეს დააჯახა მანქანა მოსახვევში. დაშვებით თითქმის არ დაშვებულვარ. სოფელში ავტობუსით ჩამოვიდი. - დამათვრა თნრობა და თითქოს ცოდვის ტვირთი მიუტანა.

ოთახში ერთხანს სამარისებური სიზუმი ჩამოწვა.

- ვაზფიქრებ! ისე როგორ იქნება, სადმე არ გადამიყაროს. ცხვირ-პირს ამოვწყაყავ! - დამიუქრა ბეჟანა.

- ნუ იზამ, ბეჟანა...

- შენზე გულმოსული ვიყავი. მამაჩემი რომ არ გამოჩენილიყო, ალბათ შენი უნახაობა გადამიყოლებდა. ისევე ჩაუღდა მაკას ცრემლიან თვალღებში ნათელი.

- წავიდა მამამშენი?

- დილას ადრინანდ წავიდა.

- არ წავიყვანა ტყეში?

- არ გაყვევი.

- გაუკვირდებოდა.

- ვიცრუე, დედას მარტო ხომ არ დავტოვე-მეთქი.

მაკას ცრემლი მოეძალა, არც უცდია თავის შეკვება. ბეჟანა დაინია, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს ისღა მოიფიქრა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გაუწოდა. მაკამ ცრემლები შეიმშრალა.

- ქალაქში როდის წავიდე? - საქმიანად ჰკითხა ბეჟანამ.

- დედას ზევ გამოსწერენ.

- ზევ დილას ადრინანდ წავიდე, გამოვიდო და...

- ბეჟანა, მატარებელს გაყვეთ, პო?

- ნება შენია, - ბეჟანა კარისკენ წავიდა.

- მიდიხარ? - მაკა შეტარა.

- წავალ. რამე ხომ არ გინდოდა?

- დარჩი, ჩვეთთან იჯანმე, - შეეხევეყა მაკა.

- ასრულდეს სურვილი შენი! - ხელის აწევით გამოაცხადა ბეჟანამ.

მაკას საბოლოოდ მოუშუქიანდა ფერგატრეცილი სახე.

შეინდებამდე იხსნენ აივანზე გაშლილ სუფრასთან. ლექსო ბივიც ერეოდა მარაქაში, ისიც არც ერთს არ უღებდა ტოლს. ყველა საკითხზე პასუხი უმალ მზადა ჰქონდა. მაკას ბებია ყმაწვილებს თავს დასტრიალებდა, რაც ბრალ ებდათ, უვვედრებლად მოჰქონდა სუფრაზე. ბოლოს ბეჟანა წამოვიდა, მალეობა გადახიხადა. შინისკენ აჩქარდა. მაკამ ჰომოგრამდე გააცილა.

- ზევ დილას ადრინანდ გამოვიგეცი, მზად დამხე-

დი. - თქვა ბეჟანამ გამოსოხებისას.

- მზად ვიქნები.

მაკა დიდხანს გაჰყურებდა ბეჟანას გზას.

მაკას დედა ქალაქიდან მშვიდობით ჩამოიყვანეს. ჩამოვიდა და იმ საღამოსვე აჩვენეს ვენახი, გული დაუმწვიდეს. ქალი ბეჟანას ღოღოტთ დიდილა. ბიჭი ჯერ პორცებოდა, ისე კი საიბით ივსებოდა. მაკასაც საბოლოოდ ვადამწმინდა მოღრბულული სახე, შუჭი და მშვენიერება ერთად მოემატა. ლექსო, როგორც ყოველთვის, თავს არავის ავიწყებდა.

